პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სოფლის განვითარების მოდელების სრულყოფა საქართველოში

განხორციელების ვადა: 01.11.2017 - 31.10.2019

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 2 999 998

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
MERCY CORPS EUROPE, People in Need, Care International

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/LAGBorjomi, facebook.com/LAGKazbegi/, facebook.com/lagodekhi.LAG/

პროექტის ვებსაიტები: mercycorps.org.uk, mercycorps.ge, borjomilag.ge/, kazbegilag.ge/en, lagodekhilag.ge/

პროექტის აღწერა:

პროექტი მიზნად ისახავს გააგრძელოს ქვემოდან ზემოთ მიმართული, საზოგადოების მიერ მართული ადგილობრივი განვითარების მიდგომის ხელშეწყობა და კიდევ უფრო გააძლიეროს არსებული ადგილობრივი განვითარების ჯგუფების მხარდაჭერა ბორჯომის, ყაზბეგისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში. პროექტი ასევე ხელს შეუწყობს განვითარებაზე მიმართული ქვე-გრანტების გაცემას და პროექტის წინა ფაზაში შემუშავებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) განხორციელებას. ამ გზით, პროექტი მიზნად ისახავს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას სამიზნე მუნიციპალიტეტებში.
პროექტი ძალისხმევით დაფუძნდება ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული ადგილობრივი განვითარების ჯგუფების გაერთიანება, სახელწოდებით 'საქართველოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ასოციაცია (GALAG)'. აღნიშნული გაერთიანება იქნება ინფორმაციის გაცვლისა და შეძენილი ცოდნის გაზიარების მთავარი გამტარი ქვეყნის მასშტაბით და ის აგრეთვე ადვოკატირებას გაუწევს საზოგადოების მიერ მართული ადგილობრივი განვითარების მიდგომას, მნიშვნელოვან სამთავრობო და არასამთავრობო სუბიექტებთან.

მოსალოდნელი შედეგები:

1. შეიქმნა ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ბორჯომში არსებული სხვადასხვა სექტორიდან (სახელმწიფო, სამოქალაქო, კულტურა, სპორტი, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, განათლება, კერძო ბიზნესი და გარემოს დაცვა) და შედგება 29 წევრისაგან.
2. მონაწილეობრივი გზით შეიქმნა ადგილობრივი განვითარების სტრატეგია, რომელიც ასახავს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საზოგადოების საჭიროებებსა და მთავარ პრიორიტეტებს.
3. ამაღლდა მოსახლეობის ცნობიერება საზოგადოების მიერ მართული ადგილობრივი განვითარების მიდგომის (LEADER) შესახებ და გაიზარდა მათი შესაძლებლობა შეიმუშაონ და წარადგინონ ძლიერი საპროექტო განაცხადები.
4. დაფინანსდა და წარმატებით განხორციელდა 28 ქვე-პროექტი და შეიქმნა 59 ახალი სამუშაო ადგილი ბორჯომის მუნიციპალიტეტში.
5. ტრეინინგების საშუალებით გაიზარდა ბორჯომის LAG-ის წევრების შესაძლებლობები, რაც მათ საშუალებას აძლევს საკუთარი წვლილი შეიტანონ ბორჯომის მუნიციპალიტეტის განვითარებაში.
6. შემუშავდა საქართველოს LAG-ების ასოციაციის წესდება სოფლის განვითარების პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციებსა და LAG-ებთან შეთანხმების საფუძველზე. GALAG არის პლატფორმა , რომელიც გავლენას ახდენს სოფლის განვითარებაზე ეროვნული მასშტაბით.